ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N16

03 ივლისი 2024 წელი

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 85-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულება (დანართების შესაბამისად).

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებიდან ერთი კვირის ვადაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა დაამტკიცოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელების ვადები, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა, განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა და პროგრამის კოორდინატორი.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**